ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 34

"12" თებერვალი 2019 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, დ.აღმაშენებლის გამზირი №31-41-ის მიმდებარედ არსებული 193 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.16.05.026.024) 15 კვ.მ. მიწის ნაკვეთის შპს „სთარისთვის" (ს/ნ: 406178381) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი №31-41-ის მიმდებარედ არსებული 193 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.16.05.026.024) 15 კვ.მ. მიწის ნაკვეთის შპს „სთარ"-ისთვის (ს/კ: 406178381) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 16 იანვრის №19.20.20 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, დ.აღმაშენებლის გამზირი №31-41-ის მიმდებარედ არსებული 193 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.16.05.026.024) 15 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „სთარისთვის" (ს/ნ: 406178381) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 2 700 (ორი ათას შვიდასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე